

საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/შედგენის დროს მონაწილე პირები ხელმძღვანელობენ საქართველოს არსებული კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შესაბამისი დებულებებით, მოქმედი ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შემუშავდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 120/ნ ბრძანების "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" დანართი 3-ით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით, აგრეთვე, აღნიშნული ბრძანების დანართი 4-ით განსაზღვრული დარგების/სპეციალობებისა და ქვედარგების/სპეციალიზაციების ჩამონათვალის შესაბამისად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესს კოორდინირებას უწევენ:
 - ა) ფაკულტეტის დონეზე - დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
 - ბ) საუნივერსიტეტო დონეზე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სწავლების დეპარტამენტი.
4. საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერით გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
5. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც მას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
6. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, პროგრამების აღწერის (კატალოგის) უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით.
7. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის რეალურ მდგომარეობასა და პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას პერიოდულად აფასებენ უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანების "ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თანახმად შექმნილი კომისიები.
8. უნივერსიტეტში თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატურად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და სრულყოფა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამების მუდმივ მონიტორინგს, შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადებასა და ფაკულტეტების საბჭოებსა და აკადემიურ საბჭოზე მათ წარდგენას.